შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ლ ტ ე რ ბ რ ი ჯ ი

ბაკალავრიატის დებულება

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N2, 05/03/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 07/03/2019 წ. N ბ/1-01/08 ბრძანებით
განახლების თარიღი: 17.01.2022

ქ.თბილისი

2022 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური და სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტთა პროფესიულ მომზადებას და შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

1.2. საბაკალავრო პროგრამით სწავლების მანძილზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 240 კრედიტი, სასწავლო წლის მანძილზე - საშუალოდ 60 კრედიტი. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

1.3. სწავლება შეიძლება გახანგრძლივდეს, თუ:

• სტუდენტს მოუწია კურსის/კურსების ხელახლა გავლა;

• დადგენილ დროში ვერ მოახერხა 240 კრედიტის დაგროვება.

1.4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები იქმნება მართვისა და სტარტეგიული კომუნიკაციის სკოლაში, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და მოქმედი კანონდმელობის შესაბამისად.

1.5. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს კრედიტების დადგენილი რაოდენობის ათვისების შემდეგ ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა დიპლომი - უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 2. მაგისტრატურის მიზნები

2.1 ბაკალავრიატის ძირითადი მიზნებია:

ა. სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;

ბ. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების აღზრდა;

2.2 ბაკალავრიატმა უნდა უზრუნველყოს სპეციალისტის მომზადება, რომელიც:

ა. მზად იქნება განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის;

ბ. იქნება კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე;

გ. მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას.

მუხლი 3. ბაკალავრიატში მიღების წესი

3.1 სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების საბაკალავრო (პირველ) საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისთვის ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე და კანონმდებლობის სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საქართველოს მოქალაქეები:

3.2. აპლიკანტი ჩაირიცხება საბაკალავრო პროგრამაზე, თუ მას გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, წარმატებით აქვს ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოპოვებული აქვს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

3.3. საგანმანათლებლო პროგრამების პირველ საფეხურზე სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდებისა გარეშე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.4. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ენის კომპეტენციის დადგენის მიზნით გადიან გასაუბრებას კონკრეტული პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად; პროგრამაზე

დაშვების წინაპირობებად შესაძლოა განისაზღვროს ენის კომპეტენციის დამდგენი დოკუმენტის აღიარების აუცილებლობა;

3.5. სემესტრის დაწყებიდან 4 კვირის შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემთხვევაში, რექტორის სამართლებრივი აქტით მას მომდევნო სემესტრში მიენიჭება სტუდენტის სტატუსი;

მუხლი 4. ბაკალავრიატში ჩარიცხვის პროცედურა

4.1 ბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

• პირადობის მოწმობის ასლი;

• სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი);

• ფერადი ფოტოსურათი 2 ცალი, ზომით 3 X 4 ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია დისკზე;

• სამხედრო-სავალდებულო აღრიცხვის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);

4.2. აბიტურიენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

4.3. რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი უნივერსიტეტში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. (EMIS)

მუხლი 5. სტუდენტთა მობილობა

5.1 მობილობა არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლა.

5.2. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სსიპ მართვიეს ელექტრონული სისტემის დირექტორის

სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვადებისა და სასწავლო უნივერსიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად;

5.3. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია სსიპ მართვიეს ელექტრონული სისტემის ბაზაში დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

5.4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;

5.4.1.მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ;

5.5. რექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის დაწესებულებაში წარმოდგენა;

5.6. მობილობის წესით ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) პირადობის დამადასტურებელი ასლი, რომელსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი შესრულებულია უცხო ენაზე.

ბ) სრული ზოგადი განათლების დოკუმენტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმეტი გაცემულია უცხო ქვეყნის სასწავლო დაწესებულების მიერ, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული დოკუმენტი და დაურთოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანების ასლი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ;

გ) ჩარიცხვის ბრძანების ასლი

დ) სასწავლო ბარათის ასლი

ე) სამხედრო მიწერის მოწმობა (საქართველოს მოქალაქე ვაჟებისათვის)

ვ) დამატებით წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

5.8. საერთაშრისო მობილობა ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება

6.1. სტუდენტს კრედიტები ენიჭება მხოლოდ საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად.

6.2. სტუდენტს უფლება აქვს ერთიდაიგივე საგანი/სასწავლო კურსი გაიაროს დამატებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 75 კრედიტს.

6.4. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და გამოიყენება სტუდენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესაფასებლად. ერთი სასწავლო წლის მანძილზე (2 სემესტრის განმავლობაში) სტუდენტს უფლება აქვს დააგროვოს არაუმეტეს 75 კრედიტისა.

6.5. სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტი გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით გავლას (დადებითი შეფასების მიღებას).

მუხლი 7. სწავლის შედეგების შეფასება

1. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები და მისი შესაბამისობა აკადემიური პროგრამის მიზნებთან.

2. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა (მაქს 100)	აღნიშვნა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია
91-100	A	ფრიადი	დადებითი
81-90	B	ძალიან კარგი	დადებითი
71-80	C	კარგი	დადებითი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი	დადებითი
51-60	E	საკმარისი	დადებითი
41-50	FX	ვერ ჩააბარა	უარყოფითი
0-40	F	ჩაიჭრა	უარყოფითი

3. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება.

4. უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ცოდნის აკუმულირებისა და სისტემატური შეფასების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია შეფასება:

ა. მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე;

ბ. მხოლოდ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამის საფუძველზე;

5. სტუდენტის შეფასების წესი, კომპონენტები, კრიტერიუმები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“

მუხლი 8. საბაკალავრო ნაშრომი

1. საბაკალავრო პროგრამა დასრულებულად ითვლება თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები, მათ შორის დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.

2. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს თეორიული და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.

საბაკალავრო ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის თეორიული ცოდნის დონის, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

3. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, მისაღწევი სწავლის შედეგები, ნაშრომის გაფორმების წესი რეგულირდება „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესით“ .

მუხლი 9. პროფესიული პრაქტიკა

1.პროფესიული პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი მოდულის/კურსის ერთეული შესაბამისი კრედიტით ან როგორც მოდულის შემადგენელი ნაწილი.

3. პრაქტიკის გავლისა და დაცვის პროცედურა, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პრაქტიკის ანგარიშისა და დღიურის გაფორმების წესი რეგულირდება „პრაქტიკის დებულებით“ და პრაქტიკის სილაბუსით.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

1 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი პროგრამით დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა რექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული კანონმდებლობით დადგენილი ფორმის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი შესაბამისი დანართით.

2 სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის გასაანგარიშებლად სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობა დგინდება GPA-თან ქვემოთ მოცემული პრინციპით:

ქულა (მაქს 100)	აღნიშვნა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება /GPA
91-100	A	ფრიადი	დადებითი	4
81-90	B	ძალიან კარგი	დადებითი	3
71-80	C	კარგი	დადებითი	2
61-70	D	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1
51-60	E	საკმარისი	დადებითი	0,5
41-50	FX	ვერ ჩააბარა	უარყოფითი	0
0-40	F	ჩაიჭრა	უარყოფითი	0

3.კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) გაანგარიშების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას სტუდენტის მიერ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების შესაბამის საფეხურზე მიღებული ყველა შეფასება;

4. GPA-ს გაანგარიშება ხდება არსებული წესის შესაბამისად.

5.GPA-ს 3,55 და მეტის შემთხვევაში კურსდამთავრებულს გადაეცემა დიპლომი „წარჩინებით“, სხვა შემთხვევაში-ჩვეულებრივი დიპლომი.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

2. აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით.

3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში